ISSN 2667-9396

№ 22

მეშახტე

კომპანიის სიახლეები
ჩვენი თანამშრომლები
ღონისძიებები

ტყიბულის ამბები
იმერეთის სიახლეები
სპორტი

"საქნახშირი" ახალი წლის ღონისძიების თანასპონსორი იყო!

გვ. 4

გვ. 2

ბეჭან წაქაძე მეშახტეებს შეხვდა

გვ. 5

ტყიბულში 6 მილიონ ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება

გვ. 6

საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“ განახლებული შემადგენლობით ბრუნდება!

ბექან წაქაძე მეშახტეებს შეხვდა

„საქნახშირის" ადმინისტრაციულ კორპუსში ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, ბეჟან წაქაძე მეშახტეებს შეხვდა. ტყიბულის მერთან, დავით ჩერქეზიშვილთან ერთად, მან რეგიონში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, არსებულ გამოწვევებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და მეშახტეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

დეპუტატმა შეხვედრა მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყო - მეშახტეებს საქართველოს მთავრობის დადგენილება გააცნო, რომლის მიხედვითაც, 2023 წლის პირველი იანვრიდან, პენსიის ოდენობის სოციალური დახმარების მიღების უფლება აქვთ მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე (შახტებსა და მაღაროებში) დასაქმებულ მამაკაცებს, რომლებმაც მიაღწიეს 60 წლის ასაკს და სოციალური დახმარების დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისთვის გააჩნიათ ბოლო 10 წლის განმავლობაში მიწისქვეშა სამთო სამუშაოებზე მუშაობის უწყვეტი სტაჟი; ასევე ქალბატონებს, რომლებმაც მიაღწიეს 55 წლის ასაკს (ზემოთ აღნიშნული პირობის გათვალისწინებით).

პროფესიების ჩამონათვალი, რომლებსაც აღნიშნული ცვლილება ეხება, მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში (№01-96/ნ).

შრომის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები სპეციალურ სწავლებას გაივლიან!

6 თებერვლიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და „საქნახშირის" ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, შრომის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სპეციალურ სწავლებას გაივლიან.

სწავლებას ტექტნიკური უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები გაუძღვებიან, სამთო ფაკულტეტის პროფესორის, გელა მაჩაიძის ხელმძღვანელობით. სწავლების ხანგრძლიობაა 2 თვე და თეორიული ნაწილის დასრულებისთანავე, დაგეგმილია პრაქტიკული მეცადინეობის დაწყება. ამის შემდეგ, კურსის მონაწილეებს გამოცდა ჩაუტარდებათ და სპეციალური სერტიფიკატები გადაეცემათ.

სამუშაო საათებში ალკოჰოლის გამოყენების ჭრეჟენცის მიზნით რეგულარული შემოწმებები მიმდინარეობს

საწარმოო დისციპლინისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, „საქნახშირის" უსაფრთხოების განყოფილება მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს - შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხდება დასაქმებულთა ალკოჰოლზე შემოწმება. თითოეული დასაქმებული ვალდებულია, სამუშაოს შესასრულებლად ფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდეს, არ იქონიოს/არ მოიხმაროს ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული ნივთიერებები და არ გადაადგილდებოდეს საწარმოს ტერიტორიაზე არაფხიზელ მდგომარეობაში.

ბოლო 6 თვის განმავლობაში, სამსახურში დასაქმებულთა ალკოჰოლური თრობის ქვეშ გამოცხადების 25-მდე შემთხვევა გამოვლინდა. ,,საქნახშირის" შინაგანაწესით თითოეულ მათგანზე დისციპლინური საქმის წარმოება დაიწყო და სახდელის სახით გამოყენებულ იქნა შრომის ანაზღაურების დაქვითვა.

აღნიშნული პრობლემა საფრთხეს უქმნის დასაქმებულების ჯანმრთელობას და წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების ნორმების უხეშ დარღვევას.

სერტიფიცირებული ამფეთქებლების ახალი ნაკადის სწავლება თებერვალში დასრულდება

მიწისქვეშა ოსტატ-ამფეთქებლების ახალი ნაკადი სპეციალურ კურსს გადის, რომელიც ამფეთქებლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მომზადებას, მათთვის უნივერსალური ამფეთქებლის კვალიფიკაციის მინიჭებას და ბურღვა-ფეთქითი სამუშაოების ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების სრულყოფას ისახავს მიზნად.

სასწავლო კურსს ამჟამად 6 მეშახტე გადის. სანდრო ჩაფიძის, გრიგოლ ზარნაძის, იოსებ ქანტურიძის, მურმან ჩაფიძის, კახაბერ გიორგაძის და კახაბერ ხორხომელიძის გადამზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს. სწავლებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, თამაზ შარაშიძე, აკაკი გოჩალეიშვილი, გელა მაჩაიძე, თეიმურაზ კუნჭულია და ნიკოლოზ ჩიხლაძე უძღვებიან.

აღნიშნული სასწავლო პროგრამა აკრედიტებულია და საერთაშორისო კვალიფიკაციის სერტიფიცირებული ამფეთქებლების მომზადების საშუალებას იძლევა. მიმდინარე სწავლება თებერვალში დასრულდება და სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ღონისძებით დაგვირგვინდება. კურსის დასრულებისთანავე, ამფეთქებლების ახალი ნაკადის სწავლება დაიწყება.

"საქნახშირი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის; საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის, დარგობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის, **თამაზ დოლაბერიძის** გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

15 წელი სამთო სფეროში

გიორგი ბაბუხადია

გიორგი ბაბუხადიამ სამთოელის კარიერა 2007 წელს დაიწყო. უმაღლესი განათლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამთო ინჟინერიის მიმართულებით მიიღო. მოგვიანებით, ტყიბულის სამთო ინსტიტუტიც დაამთავრა (მიწისქვეშა სამთო მექანიზმების ექსპლუატაციისა და რემონტების უსაფრთხოების სპეციალობით).

2007 წელს ვენტილაციისა და უსაფრთხოების სამთო ოსტატის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. წლების განმავლობაში ნახშირმომპოვებელ უბანში, ხარისხის კონტროლის სამსახურში (უფროსის მოადგილე), „ძიძიგურის" შახტის IV უბანში (უბნის უფროსის მოადგილე) მუშაობდა. გარდა ამისა, იყო მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებელი, ასევე მეშახტეთა პროფკავშირების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე. ამჟამად „საქნახშირის" მთავარი ინჟინრის მოადგილეა და პარალელურად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრიც გახლავთ (ფრაქციიდან „ქართული ოცნება").

გიორგი ბაბუხადია: „25 წლის ვიყავი როდესაც „საქნახშირში" მოვედი სამუშაოდ. მანამდე თბილისში ვმუშაობდი და როგორც კი შახტებში მუშაობის პროცესი აღდგა, რა თქმა უნდა, სიხარულით დავბრუნდი ტყიბულში. მოსვლის დღიდან, ჩემი მიზანი სამთო საქმეში საკუთარი წვლილიც შეტანა იყო. ჩვენი პროფესია საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა - გამუდმებით გვიწევს ახალ გამოწვევებთან გამკლავება, მათი დაძლევა. იმისათვის რომ სამთოელი გახდე, ამ საქმის სიყვარული და ინტერესი უნდა გქონდეს. მიხარია, რომ სასიამოვნო ცვლილებები დაიწყო, ვგულისხმობ ახალი შახტის მშენებლობას, რაც კიდევ უფრო მეტ ადამიანს დაასაქმებს. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ ჩვენი ბუნებრივი რესურსები გამოვიყენოთ, სამთო მიმართულება განვავითაროთ და ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტიც. გარდა ამისა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრიც გახლავართ და აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესებში. ვთვლი, რომ კომპანია „საქნახშირის" განვითარებასთან ერთად, ტყიბულის განვითრებაზე ზრუნვა საუკეთესო შედეგს მოგვცემს."

მანანა სოხაძე

16 წელი სამთო სფეროში

მანანა სოხაძე "საქნახშირის" გუნდს 2006 წლიდან შემოუერთდა. მუშაობა „ძიძიგურის" სახელობის შახტზე, სტაციონალური დანადგარის ამწე მანქანის მემანქანედ დაიწყო და დღემდე წარმატებით უძღვება დაკისრებულ მოვალეობას.

მანანა სოხაძე: „16 წელია ამ პოზიციაზე ვმუშაობ. ამწე მანქანის მემანქანეობა არ არის მარტივი პროფესია, რადგან უდიდესი პასუხისმგებლობა და ყურადღება სჭირდება. ჩვენი მოვალეობაა შახტში ხალხის ჩაყვანა-ამოყვანა, გარდა ამისა, ჩვენზეა დამოკიდებული სარემონტო სამუშაოებისას ზეინკლების ჭაურში გადაადგილება. „ძიძიგურის" შახტზე აღნიშნულ საქმეს 5 ქალბატონი ვემსახურებით. უაღრესად დიდია „საქნახშირის" როლი თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, ჩვენი ოჯახების კეთილდღეობისა და სტაბილურობის თვალისაზრისით. მადლობა კომპანიის ხელმძღვანელებს იმისთვის, რომ ააღორძინეს შახტა, ასე გამოაცოცხლეს ტყიბული და რაც მთავარია, გაჩნდა შემოსავლის წყარო! ყველა მეშახტეს და მემანქანეს მშვიდობიანად საქმიანობას ვუსურვებ."

13 წელი სამთო სფეროში

ზაზა გამეზარდაშვილი

ზაზა გამეზარდაშვილს სამთო სფეროში მუშაობის 13 წლიანი გამოცდილება აქვს. ის მეშახტეების ოჯახიდანაა - მამა, ანტონ გამეზარდაშვილი დამსახურებული მეშახტე იყო, 20 წელი „ძიძიგურის" სახელობის შახტში მუშაობდა. ძმებიც სამთოელები არიან. ბატონი ზაზას უფროსი ვაჟიც სამთოელებს შეუერთდა და რამდენიმე თვეა, სამთოელის პროფესიას ეუფლება.

ზაზა გამეზარდაშვილი: „წლების მანძილზე, „საქნახშირში" მუშაობით უდიდესი გამოცდილება მივიღე. ახალბედა რომ ვიყავი, ცოდნა უფროსი თაობისგან შევიძინე, რომელსაც უკვე თავად ვუზიარებ მომავალ თაობას. ჩვენი ოჯახის ტრადიციას ჩემი ვაჟი აგრძელებს. მიყვარს ჩემი საქმიანობა და გარკვეულწილად, ეს იმ ადამიანების დამსახურებაცაა, ვისთან ერთადაც ვმუშაობ."

ზურა გამეზარდაშვილი

ჩვენი გუნდის ახალი წევრი

19 წლის მეშახტე ზურაბ გამეზარდაშვილი სულ რამდენიმე თვეა რაც „საქანახშირის„ თანამშრომელია. პასუხისმგებლობითა და ინტერესით დაიწყო ახალი პროფესიის დაუფლება. მისი სამომავლო გეგმებიც სწორედ სამთო დარგს უკავშირდება.

ზურა გამეზარდაშვილი: „სკოლა ტყიბულში დავამთავრე, შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური გავიარე და მალევე დავსაქმდი შახტში. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობლიურ ქალაქში ვიცხოვრო და ვიმუშაო, პარალელურად, განვვითარდე და პროფესიონალ სამთოელად ჩამოვყალიბდე. სხვაგან წასვლა არ მინდა და მიხარია, რომ ეს კომპანია ამის შესაძლებლობას გვაძლევს."

"საქნახშირი" ახალი წლის ღონისძიების თანასპონსორი იყო!

უკვე მეორე წელია, ტყიბულში ახალი წელი განსაკუთრებულად აღინიშნება. „საქნახშირისა" და ტყიბულის მერიის ერთობლივი ძალისხმევით, ტყიბულელები ახალი 2023 წლის შემოსვლას ჯადოსნურ გარემოში, განსაკუთრებული განწყობით შეხვდნენ.

საახალწლო ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. დილიდან პატარების სადღესასწაულო განწყობაზე სანტა კლაუსი და ანიმატორები ზრუნავდნენ. ანიმაციურმა გმირებმა საგანგებოდ მორთული ავტობუსით ტყიბულის ქუჩები მხიარულად მოიარეს და ბავშვებს საჩუქრები დაურიგეს. ადგილობრივი ანსამბლებისა და შემსრულებლების კონცერტის შემდეგ, საღამო yellow band-ის კონცერტით გაგრძელდა. ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

საახალწლო ღონისძიებები ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და „საქნახშირის" თანასპონსორობით გაიმართა.

ქალაქ ვალბრჟიხსა და ტყიბულს შორის დამეგობრების მემორანდუმი გაფორმდა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული, ზვიად შალამბერიძე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი დავით ჩერქეზიშვილი პოლონეთში, ქალაქ ვალბრჟიხში იმყოფებოდნენ, სადაც ორ ქალაქს შორის დამეგობრების მემორანდუმი გაფორმდა.

დოკუმენტს ხელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და ქალაქ ვალბრჟიხის მერმა, რომან შზელემეიმ მოაწერეს.

„ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ვალბრჟიხს საერთო ევროპული ღირებულებები, ქვანახშირის ინდუსტრიულ მრეწველობაზე დაფუძნებული ეკონომიკა, თვალწარმტაცი მთიანი ბუნება და დიდი ტურისტული პოტენციალი აერთიანებს. სწორედ ეს მსგავსებები შეიძლება იქცეს ამ ორი ქალაქის სასარგებლო თანამშრომლობის და მრავალმხრივ გამოცდილებათა გაცვლის საფუძვლად. მხარეები განახორციელებენ ურთიერთმხარდაჭერას ადგილობრივი მთავრობის მმართველობის დარგში, ასევე გაცვლიან საკუთარ ქალაქებში ეკონომიკის, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სფეროებში მიღებულ გამოცდილებებს“ - ნათქვამია მემორანდუმში.

ქ. ვალბრჟიხში მიღება მეშახტეთა მფარველის, წმინდა ბარბარეს დღესასწაულზე მოეწყო. ოფიციალურ მიღებას, ასევე ესწრებოდნენ გერმანიის და პოლონეთის სხვადასხვა ქალაქების დელეგაციები. დელეგაციის წევრებმა პატივი მიაგეს შახტში გარდაცვლილთა ხსოვნას, დაესწრნენ სადღესასწაულო წირვას და საზეიმო ვახშამს.

ქართულ დელეგაციაში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულთან და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ზაზა გოჩელაშვილი და მაია თორთლაძეც იმყოფებოდნენ.



ტყიბულში 6 მილიონ ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება

ტყიბულში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდება. ქალაქს რამდენიმე ახალი ლოკაცია შეემატა. მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ტყიბულში მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მონიტორინგი განახორციელეს და განახლებული რეკრეაციული ზონები მოინახულეს.

საპილოტე რეგიონების განვითარების ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში 6 მილიონ ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება.

ცირეკიძის ქუჩაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი დასასვენებელი სივრცე მოეწყო. სკვერი შემოისაზღვრა დამცავი მოაჯირებით და იქ არსებული კიბეები დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა, დამონტაჟდა თანამედროვე განათების სისტემა, განთავსდა ხის საბაღე სკამები და ურნები, ასევე დაირგო ხე-მცენარეები.

ისტორიული იერსახის შენარჩუნების მიზნით, შესაბამისი სამუშაოები განხორციელდა რუსთაველის ქუჩაზე, სადაც არსებული კიბეები გამორჩეული არქიტექტურული გადაწყვეტით მოეწყო. პარალელურად, აღნიშნულ ქუჩაზე სრულდება N2 და N4 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ტყვარჩელის ქუჩაზე უკვე დასრულდა, ქალაქში შემოსასვლელი ალტერნატიული გზის 1 კილომეტრიანი, ხოლო სოფელ გელათში 3 კილომეტრიანი მონაკვეთის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. ასევე, ცხრაჯვარიდან სალოცავამდე მოეწყო 800 მეტრიანი საფეხმავლო ტურისტული ბილიკი, ხოლო ცხრაჯვარიდან სოფელ ძმუისის კანიონამდე 22 კმ-იანი ბილიკი.

გელათის ქუჩაზე გზის სავალი ნაწილის ქვაფენილით მოპირკეთება, სკვერის მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მდინარის ორივე მხარეს მოაჯირების, ხოლო რუსთაველის ქუჩაზე სახურავების რეაბილიტაცია ხორციელდება. იწყება სადგურის წინ არსებული სკვერის მოწყობის სამუშაოები.

მოგვიანებით მუნიციპალიტეტის მერმა, გამსახურდიას ქუჩაზე (N30) განახლებული მინი სპორტული მოედანი ბავშვებთან ერთად გახსნა. პროექტის ფარგლებში, მოედანი ბადე-პანელებით შემოისაზღვრა; მოეწყო ხელოვნური საფარი, გარე განათების სისტემა, დამონტაჟდა კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები. 90 000 ლარის ღირებულების სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა. მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია სრულდება რუსთაველის ქუჩაზეც (N23), რომლისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 83775 ლარი იხარჯება.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სააკაძისა და კუპრაშვილის ქუჩებზეც იმყოფებოდნენ, სადაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით გზის 200 მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგო.

ამასთან ერთად, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული „განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გრძელდება მასშტაბური სამუშაოები გამსახურდიას ქუჩაზე, რომელიც 30-მდე მრავალსართულიანი შენობა-ნაგებობის, მათ შორის, საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

ტყიბულში უფასო სამედიცინო აქცია მოეწყო

მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, უფასო სამედიცინო აქცია მოეწყო. ტყიბულის კლინიკაში, მთელი დღის განმავლობაში, სხვადასხვა პროფილის ექიმები მოქალაქეებს სამედიცინო გამოკვლევებს უტარებდნენ და შესაბამის კონსულტაციებს უწევდნენ.

აქციაში ჩართულმა 250-მდე ადამიანმა 600-მდე ვიზიტი განახორციელა და მაღალი ხარისხის მომსახურება მიიღო. მოქალაქეებს ასევე ჩაუტარდათ ისეთი სახის ლაბორატორიული და ულტრაბგერითი კვლევები, რომლებიც საყოველთაო დაზღვევით არ ფინანსდება.

აქციის მიმდინარეობას ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი ადგილზე გაეცნო და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს უსასყიდლოდ ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა.

უფასო სამედიცინო აქცია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ ორგანიზაცია ,,ექიმი და ჯანმრთელობის“ და სამედიცინო კორპორაცია ,,ევექსის“ მხარდაჭერით განახორციელა.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში ტყიბულში საშობაო ღონისძიება გაიმართა

პრემიერ-მინისტრის ინიციატივის ფარგლებში, ტყიბულში შობის დღესასწაულზე საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ყველა ასაკის ადამიანზე გათვლილი მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა, მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

ქალაქის ცენტრში მოეწყო საშობაო ბაზრობა, გამოფენა-გაყიდვა, ტერიტორიაზე განთავსებული იყო ხის საახალწლო სახლები, საბავშვო გასართობი სივრცეები, ფოტოს გადასაღები სტენდები და ინსტალაციები. მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პატარებს სანტა კლაუსი ტკბილეულით გაუმასპინძლდა. ბავშვებისთვის, ასევე, მოეწყო კოსტიუმირებული წარმოდგენა და მოსიარულე ორკესტრის შოუ. გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ანსამბლებისა და შემსრულებლების მონაწილეობით. ღონისძიებას მოსახლეობასთან ერთად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ რობაქიძე შეუერთდნენ. საღამო კი, ცნობილი ჯგუფის ,,რეზო და ბავშვების"კონცერტით და საზეიმო ფეიერვერკით დასრულდა.

წითელი ჯვრის საზოგადოების საქველმოქმედო კამპანია ტყიბულში

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ტყიბულის ფილიალისა და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა მოწყვლად ჯგუფებს სურსათისა და ტკბილეულის ამანათები გადასცეს.

აქცია საქართველოს წითელი ჯვრის საქველმოქმედო კამპანიის „სიკეთე გადამდებია" ფარგლებში გაიმართა და ტრადიციისამებრ, კომპანია „საქნახშირიც" ჩაერთო. მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მეწარმეებმაც.

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ტყიბულის ფილიალი მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ქველმოქმედ ადამიანებს, მეწარმეებს, რომლებიც მუდმივად გამოხატავენ თანადგომას. ესენი არიან: ილია და შაკო სულამანიძეები; კომპანია "საქნახშირი;" სსიპ "იუსტიციის სახლის" საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლები; N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის თანამშრომლები; სააფთიაქო ქსელების "ავერსის," „PSP-ს," „ფარმადეპოს" ტყიბულის ფილიალის თანამშრომლები; სუპერმარკეტების ქსელ "მაგნიტის" თანამშრომლები; მარკეტი "ლიდერი-1"- ჯული ჯიშიაშვილი; ინდ. მეწარმე ნანა ივანეიშვილი; მარკეტი ,,მერ-მური;'' ინდ. მეწარმე ,,მაია გოგილიძე;" ინდ. მეწარმე მადონა ვერულაშვილი; ინდ. მეწარმე გია ჩაფიძე; შპს „გორო 2013" გოჩა კანკია; ინდ. მეწარმე "მობილურის აქსესუარები და საჩუქრები" ირმა ნადირაშვილი; ინდ. მეწარმე "კაი მარკეტი" გივი მიხელიძე; ინდ. მეწარმე ,,ინგა მაჩაიძე;" ინდ. მეწარმე ,,ფოფხაძე ნაირა;" ინდ. მეწარმე „ევა ბურჯანაძე;" ინდ. მეწარმე ,,ბარამაძე გოდერძი;" ინდ. მეწარმე ,,ქათამაძე თეონა;" ინდ. მეწარმე „დავით რობაქიძე" - ნათქვამია წითელი ჯვრის განცხადებაში.

საქველმოქმედო კამპანია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა.

პროფესიული საკალათბურთო კლუბის „ტყიბულის ორბის" პრეზენტაცია

ტყიბულის სპორტის სასახლეში პროფესიული საკალათბურთო კლუბის ,,ტყიბულის ორბის" პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ახალი სეზონიდან A ლიგაში ითამაშებს.

ტყიბულის სახელით მოასპარეზე საკალათბურთო კლუბი საზოგადოებას მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა წარუდგინა.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი, ტყიბულის, თერჯოლის, ბაღდათისა და ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან წაქაძე, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ სანიკიძე და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ღონისძიების ბოლოს ამხანაგური მატჩი გაიმართა, სადაც ერთმანეთს "ტყიბულის ორბი" და ქუთაისის ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი" დაუპირისპირდა.

ილია სულამანიძე პორტუგალიის გრან პრის ჩემპიონია!

პორტუგალიაში გამართულ გრან პრის ფინალში ილია სულამანიძემ იაპონელი დოტა არაი უალამაზესი გდებებით დაამარცხა და საქართველოს პირველი ოქროს მედალი მოუპოვა.

ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების კანდიდატებს შორის ილია წონითი კატეგორიის ლიდერია, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში.

რეიტინგის ხუთეული ასე გამოიყურება:

- ილია სულამანიძე - 6446 ქულა
- მაიკლ კორელი - 5893 ქულა
- ზელიმ კოცოევი - 5096 ქულა
- შადი ელნაჰასი - 4646 ქულა
- ჯორჯ ფონსეკა - 4416 ქულა

ტყიბულელმა ძიუდოისტმა 2022 წელი უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით დაასრულა და ძიუდოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირი, იერუსალიმის მასტერსი მოიგო. ამ გამარჯვებისთვის ილიამ 1800 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა და 100კგ წონითი კატეგორიის რეიტინგის პირველი ნომერი გახდა.

2022 წელს ილიამ 4 მედლის მოგება შეძლო: თელ-ავივის გრან სლემი (ოქრო), ზაგრების გრან პრი (ვერცხლი), 23 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (ოქრო), იერუსალიმის მასტერსი (ოქრო).

საფეხბურთო ჯგუფი „მეშახტე" განახლებული მემადგენლობით ბრუნდება!

ტყიბულის საფეხბურთო კლუბი „მეშახტე" განახლებული შემადგენლობით ინტენსიურად ემზადება მომავალი სეზონისთვის. ვარჯიშები 10 თებერვლიდან დაიწყება.

ტრანსფერები განხორციელდა შემდეგ ფეხბურთელებთან: შოთა ავლოხაშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ლევან ტყეშელაშვილი, ირაკლი ბაძაღუა, გიორგი ჯინიკაშვილი, შალვა მაღალდაძე, იოსებ მოლაშვილი, დავით რაჟამაშვილი, გურამ ჯაფარიძე, გიორგი კურმაშვილი და გიგა მაისურაძე. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვა ფეხბურთელებთანაც.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საფეხბურთო კლუბი "მეშახტე ტყიბული" ეროვნულ ლიგა 3-ში დარჩა! კლუბის პრეზიდენტის პოსტზე, ტყიბულის მერის გადაწყვეტილებით, ლევან ჯაფარიძე დაინიშნა.

ლევან ჯაფარიძეს აქვს მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება, ის ბოლო წლებში იყო გურიის გუბერნატორის პირველი მოადგილე, ასევე, თბილისის საკრებულოს წევრი. მას აქვს ფეხბურთის სფეროში ადმინისტრირების გამოცდილება და საფეხბურთო წრეებში ცნობადი სახეა.

ამასთან ერთად, ბოლო ფაზაშია მიმდინარე პროცესები, რომლის შედეგად კლუბს ეყოლება ახალი თანამეპატრონე და სპონსორი, რომელიც კლუბში ახალი სეზონიდანვე კონკრეტულ ინვესტიციებს განახორციელებს.

ვანში 120 მოსწავლეზე გათვლილ საჯარო სკოლის შენობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა

ვანში, სოფელ ბზვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სასწავლო წელი ახალ გარემოში დაიწყეს. რეაბილიტირებული საჯარო სკოლა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ვალერიან გობრონიძესთან და ვანის მუნიციპალიტეტის მერ ალექსანდრე გოგორიშვილთან ერთად დაათვალიერა და მოსწავლეებს წარმატებული სასწავლო წელი უსურვა.

,,ბზვანის საჯარო სკოლის მოსწავლეები სასწავლო წელს ახალ, რეაბილიტირებულ და, შეიძლება ითქვას, მთლიანად ახლად აშენებულ სკოლაში განაახლებენ. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ აქვთ აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტის ინფრასტრუქტურულ პირობებში სწავლის გაგრძელების საშუალება, ისევე როგორც დანარჩენი შვიდი სკოლის მოსწავლეებს, რომელთა სკოლის რეაბილიტაცია უკვე დავასრულეთ წინა წელს. პრემიერ მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის ფარგლებში, ამ ეტაპზე, რეგიონში დამატებით რვა სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელიც 2023 წელს დასრულდება. გარდა ამისა, რეგიონის მასშტაბით, მიმდინარე წელს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება იგეგმება, როგორც სკოლების, ასევე ბაღების მიმართულებით და ჩვენ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ ვიზეიმებთ მსგავსი პირობების მქონე შენობების გახსნას" - განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

ვანის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბზვანის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ცენტრალური ბიუჯეტიდან (მუნიციპალური განვითარების ფონდი) 2 658 630 ლარით დაფინანსდა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო საკლასო ოთახები, საპირფარეშოები, სპორტული მოედნები და ეზოს ტერიტორია. ასევე, დამონტაჟდა გათბობის, წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემები. სკოლა სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ზვიად შალამბერიძემ სამუშაო თათბირი გამართა

მხარის გუბერნატორმა მოადგილეებისგან და მუნიციპალიტეტების პირველი პირებისგან მიმდინარე პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა. როგორც ზვიად შალამბერიძემ აღნიშნა, 2023 წელს რეგიონში, მოსახლეობაზე ორიენტირებული გაცილებით მეტი პროექტი უნდა განხორციელდეს და შესაბამისად, ხელმძღვანელ პირებს მოუწოდა, თითოეულ პროექტს მაქსიმალური მონიტორინგი გაუწიონ.

გუბერნატორი იანვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობით დაინტერესდა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტებში აქტიური სამუშაოები ხორციელდება და უახლოეს პერიოდში სრულად აღდგება ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურა.

როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, იმერეთის რეგიონში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 8 900 000 ლარი გამოიყო.

შეხვედრაზე პროგრამა „განახლებული რეგიონების" მიმდინარეობის პროცესი განიხილეს. რეგიონში უკვე დასრულდა პროგრამის პირველი ეტაპით გათვალისწინებული პირველი ფაზის სამუშაოები. აღნიშნული პროგრამა 2023 წელსაც განხორციელდება.

სახელმწიფო რწმუნებულმა დეტალურად ისაუბრა ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებზე. მათ შორის, ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, როგორც სკოლების ასევე საბავშვო ბაღების მიმართულებით.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ასევე მოუსმინეს ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" 2022 წლის ანგარიშს და სამომავლო გეგმებს. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მარი დევიძემ აღნიშნა, DMO იმერეთის მომავალი წლის გეგმებშია: საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე პოზიციონირება, ინფოტურებისა და სატრენინგო პროგრამების ორგანიზება, იმერეთის საიმიჯო ვიდეორგოლისა და ტრადიციული რეწვის შესახებ მინი-ფილმების გადაღება, იმერული ღვინის ლაბორატორიის შექმნა, კონკურსის ჩატარება, ღვინის გზამკვლევის გაკეთება. ასევე დაგეგმილია სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გამართვა, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონში ტურიზმის განვითარებაზე.

იმერეთის მხარისა და ჟიავო-პომერანის თანამშრომლობის ფარგლებში, ქართული დელეგაცია პოლონეთში იმყოფებოდა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი ოფიციალური ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდნენ.

ვიზიტი იმერეთის მხარისა და კუიავო-პომერანის საოვოევოდოს თანამშრომლობის ფარგლებში შედგა და ძირითადი მიზანი აკადემიურ წრეებს შორის ურთიერთობების გაღრმავება იყო.

ასევე, პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე თევზაძე და კანცლერი მაგდა მაღრაძე იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ძირითადი თემა სიმსივნის მკურნალობის ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გაცნობა, ასევე, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებით მეგობარ რეგიონში არსებული სიახლეების გაზიარება იყო.

ქართული დელეგაციის წევრები რამდენიმე სამედიცინო, კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობას გაეცნენ. ასევე, ესტუმრნენ ტორუნის კოპერნიკის სახელობის უნივერსიტეტსა და ბიდგოშჩის ტექნიკურ უნივერსიტეტს, სადაც მოინახულეს ლაბორატორიები და ისაუბრეს გაცვლით პროგრამებზე "ერასმუსის" ფარგლებში, მეცნიერთა თანამშრომლობაზე "ჰორიზონტ ევროპას" ფარგლებში და სტუდენტების საზაფხულო გაცვლით პროგრამაზე.

აღნიშნული ვიზიტით საფუძველი ჩაეყარა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და კუიავო-პომერანის უნივერსიტეტების თანამშრომლობას, ასევე ქუთაისისა და ტორუნის დამეგობრებას.

ურთიერთობების გაღრმავებისა და ეფექტიანი თანამშრომლობის მიზნით, ქუთაისში, პოლონელი მეცნიერების და აკადემიური წრეების წარმომადგენლების საპასუხო ვიზიტი დაიგეგმა.

საქნახშირი

“ ეღიჭტრო აპარატურისა და მექანიზმების გახსნა წრეღილაბ გამორთვის შემდეგ ენდა მოხდეს.

მარტივი ნესების დაცვით, ყველა ერთად ჭქმნით უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

მირიან გამეზარდაშვილი

ნახშირმომპოვებელი უბნის მიწისქვეშა წმენდითი სანგრევის სამთო მუშა

მეშახტე

დეკემბერი-იანვარი 2023

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, მაკა კობახიძე, გაგა ისაკაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.
მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

ჟურნალტიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri